ოქმი:**ო63.63212242**
თარიღი:**12/08/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 15

ქ. სამტრედია. 6 აგვისტო, 2021 წელი.

2021 წლის 06 აგვისტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი(ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე , ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ავთანდილ ტორონჯაძე , ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. გაზეთ ''სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი -ნინო ნანიტაშვილი;
2. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.
3. ''სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო

   საზოგადოება''-ს წარმომადგენელი -ნინო შარაშენიძე.

   თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვებიან: დავით ნიკოლეიშვილი და ავთანდილ სტურუა, ზაზა ადეიშვილი.

   სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მ/შ: ლ. კრავეიშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის, (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მ/შ: ლ. კრავეიშვილი/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მ/შ: ლ. კრავეიშვილი/

4. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (23 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის *2021 წლის 05 აგვისტოს* N 62-622121710 წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ განკარგულების პროექტს. კერძოდ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს:

ა) ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქ. №31, კულტურის სახლის წინ მდებარე 2 სარეკლამო აბრა;

ბ) ქალაქი სამტრედია, ჯავახიშვილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე, რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 1 სარეკლამო აბრა;

გ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბოძები.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/ გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს მგზავრთა მოსაცდელები, გარდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მოსაცდელებისა.

3. პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე, გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/ გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელი დროებითი ღობეები.

5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული

მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების, ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

6. საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლონ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

7. დაევალოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ორგანიზება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), მიღებულია განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავი/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით - მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის *2021 წლის 05 აგვისტოს* N 62-622121710 წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის, (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ განკარგულების პროექტს. კერძოდ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის, (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს შემდეგი შენობა-ნაგებობები:

ა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის" დარბაზი (ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქუჩა);

ბ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ხუნჯულაურის კლუბი;

გ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ნოღის კლუბი;

დ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ღანირის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ღანირის კლუბი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), მიღებულია განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის არჩევნებისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის, (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით - მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს ფრაქცია ,,კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილეს, ვაჟა კოხრეიძეს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), მიღებულია განკარგულება,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი